წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

2025 წლის 28 მარტი

ქ. წყალტუბო

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250020.35.122.016671, 31/03/2023) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-2 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2. **ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის საჯარო მოხელეები უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინონ:** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 125-ე მუხლების მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1, 135-135^1 მუხლებით, 146^1, 148-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^2, 152^8, 153^3 მუხლის პირველი,მე-3 და მე-4

ნაწილებით, 153^4, 156^2, 156^4, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159^1, 166^2, მუხლებით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის“ კოდექსის 31–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე."

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3.**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოხელეები** უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 172^8, 172^9 მუხლებისა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი